ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 324

"12" ივლისი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის №128-142-ის მიმდებარედ არსებული 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.13.08.009.074) 3 კვ.მ. საერთო ფართობის ორი მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კაფე საფორესთვის" (ს/ნ. 204550057) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის №128-142-ის მიმდებარედ არსებული 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.13.08.009.074) 3 კვ.მ. საერთო ფართობის ორი მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კაფე საფორესთვის" (ს/ნ 204550057) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 28 ივნისის №24.1122.1262 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის №128-142-ის მიმდებარედ არსებული 756 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.13.08.009.074) 3 კვ.მ. საერთო ფართობის ორი მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კაფე საფორესთვის" (ს/ნ. 204550057) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთების საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 720 (შვიდას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ,ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე